

ა(ა)იპ ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრი



გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით საციგურაო და
ყინულის ჰოკეის აღჭურვილობის (CVP37411200) შესყიდვის

ს ა ტ ე ნ დ ე რ ო დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლის და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე.

ბათუმი

2015 წელი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის -----	3
2. სატენდერო დოკუმენტაცია -----	3
3. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება -----	3
4. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი -----	11
5. დანართი N1 -----	14
6. დანართი N2 -----	15

ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

ინფორმაცია იხილეთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.procurement.gov.ge

შენიშვნა: პრეტენდენტი, წარდგენილი სატენდერო წინადადებით ავტომატურად ეთანხმება, წინადადარე სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

1. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები

„ გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა არ მოითხოვება.

2. ტექნიკური პირობები:

2.1 შესყიდვის ობიექტი: ტენდერში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს ა(ა)იპ ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრის საჭიროებისთვის საციგურაო და ყინულის ჰოკეის აღჭურვილობის მიწოდება.

3. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური აღწერილობა:

3.1 ყინულის ჰოკეის ციგურები, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ✓ უპირატესობა უნდა მიენიჭოს ყინულის ჰოკეის ცნობილ ბრენდებს;
- ✓ ციგურის ყელი-ციგურის გარე ნაწილია, რომელიც იჭერს სარჩულის მასალას და ამყარებს შიგთავსს. ციგურები უნდა იყოს დამზადებული დინამიური სიჩქარისთვის, მოთამაშეს უნდა სთავაზობდეს ოპტიმალურ სისწრაფეს, მოქნილობისა და წონასწორობას;
- ✓ კოჭის სასარჩულე მასალა- რბილი სიმტკიცის ქაფი უნდა იყოს ჩართული ციგურის ყელში კომფორტისა და წონასწორობისათვის;
- ✓ ქუსლის წონასწორობა- უნდა იყოს ანატომიურად ფორმირებული, რომელიც ჩასმულია ციგურის ყელში და იცავს ტერფს;
- ✓ ციგურის ენა- უნდა ჰქონდეს დამცავი საფარი ტერფისა და კოჭის წინა ნაწილისთვის;
- ✓ ციგურის ძირი-ციგურის მყარი ქვედა ნაწილი, რომელზეც დამონტაჟებულია პირი უნდა იყოს არამოსასხნელი, უჟანგავი ფოლადის და გამძლე გრძელვადიანი გამოყენებისთვის;

3.1.1 ყინულის ჰოკეის ციგურების ზომები და რაოდენობა:

- ✓ 28 ფეხის ზომაზე - 1 წყვილი;
- ✓ 30 ფეხის ზომაზე - 1 წყვილი;
- ✓ 32 ფეხის ზომაზე- 1 წყვილი;
- ✓ 34 ფეხის ზომაზე - 3 წყვილი;
- ✓ 35 ფეხის ზომაზე- 3 წყვილი;
- ✓ 36 ფეხის ზომაზე - 3 წყვილი;
- ✓ 37 ფეხის ზომაზე - 4 წყვილი;
- ✓ 38 ფეხის ზომაზე - 4 წყვილი;
- ✓ 39 ფეხის ზომაზე - 4 წყვილი;
- ✓ 40 ფეხის ზომაზე - 4 წყვილი;
- ✓ 41 ფეხის ზომაზე- 3 წყვილი;
- ✓ 42 ფეხის ზომაზე - 3 წყვილი;
- ✓ 43 ფეხის ზომაზე- 1 წყვილი;

სულ: 35 წყვილი

3.2 ყინულის ჰოკეის ჩაფხუტი უნდა აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს.

- ✓ უპირატესობა უნდა მიენიჭოს ყინულის ჰოკეის ცნობილ ბრენდებს;
- ✓ სპორტული ჩაფხუტი უნდა იყოს განკუთვნილი ახალგაზრდა და დამწყები მოთამაშეებისთვის; ჩაფხუტს უნდა მოყვებოდეს სახის დამცავი რკინის ბადე.
- ✓ ჩაფხუტი უნდა იყოს დამზადებული მაღალი ხარისხის პლასტმასისგან. შიგნიდან უნდა ჰქონდეს საშულო ან რბილი სიმტკიცის ქაფის ჩანართები ასევე შესაძლებელია მაღალი სიმტკიცის ქაფის ჩანართები ზედ დაკრული რბილი სიმტკიცის ქაფის ბალიშებით უმაღლესი ხარისხის დაცულობისთვის და მორგებისთვის;
- ✓ გარე საფარის შიდა ნაწილი- უნდა იყოს მოსასხსნელი შლემოფონი ყურის მარყუჯებით;

3.2.1 ცინულის ჩაფხუტის ზომები და რაოდენობა:

- ✓ ცინულის ჩაფხუტის გარშემოწერილობა 52-57 სმ- 8 ცალი;
ზომა პატარა (junior small)
- ✓ ცინულის ჩაფხუტის გარშემოწერილობა 54-58.5 სმ- 19 ცალი;
ზომა საშუალო (junior medium)
- ✓ ცინულის ჩაფხუტის გარშემოწერილობა 56-61 სმ- 8 ცალი;
ზომა დიდი (junior large)

სულ: 35 ცალი

3.3 ცინულის ჰოკეის ტანის დამცავის, წვივის დამცავისა და საიდაყვეების კომპლექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს.

- ✓ უპირატესობა უნდა მიენიჭოს ცინულის ჰოკეის ცნობილ ბრენდებს;
- ✓ ტანის დამცავის ზურგი და მკერდი დაცული უნდა იყოს საშუალო სიმტკიცის ქაფით. ზურგი ხერხემლის გასწვრივ დამატებით დაცული უნდა იყოს დამატებით პლასტმასის ზოლის ჩანართით მთელ სიგრძეზე საშუალო სიმტკიცის ქაფით ან მაღალი სიმტკიცის ქაფით. მკერდის შუა ნაწილი ასევე დამატებით უნდა იყოს გაძლიერებული დამატებითი ჩანართით საშუალო სიმტკიცის ქაფით ან მაღალი სიმტკიცის ქაფით.
- ✓ სამხრეები უნდა იყოს დამზადებული პლასტმასის მასალისგან.
- ✓ ბიცეფსის დაცვა უნდა იყოს დამზადებული პლასტმასისგან ან მაღალი სიმტკიცის ქაფისგან.
- ✓ ტანზე დასამაგრებლად უნდა გამოიყენებოდეს ნეილონის წელვადი თასმები ე.წ „ფხრიწების“ დახმარებით.
- ✓ საიდაყვის ქვედა დაცვა უნდა იყოს დამზადებული პლასტმასისგან. ზედა მხარე უნდა იყოს დამზადებული საშუალოს სიმტკიცის ქაფისგან ან მაღალი სიმტკიცის ქაფისგან .
- ✓ ბიცეფსის დაცვა უნდა იყოს დამზადებული მაღალი სიმტკიცის ქაფისგან ან პლასტმასისგან .
- ✓ ბიცეფსის დაცვა და იდაყვის დაცვა ერთმანეთთან უნდა დაკავშირებული იყოს მოქნილი სისტემით. დაშვებულია ეგრეთ წოდებული „ბოქლომის“ სისტემის გამოყენება. რათა არ მოხდეს იდაყვის საპირისპირო მხარეს გაშლა.
- ✓ საიდაყვე ტანზე უნდა მაგრდებოდეს ნეილონის წელვადი თასმებით ე.წ „ფხრიწების“ დახმარებით.
- ✓ საიდაყვეს წინა მხარის ფიქსაცია დასაშვებია არაწელვადი ნეილონის თასმით.
- ✓ წვივის დაცვა დამზადებული უნდა იყოს მაღალი სიმტკიცის პლასტმასისგან.

- ✓ დაცვა უნდა შედგებოდეს ორი სეგმენტისგან მუხლის „ჭიქის“ და წვივის დაცვისგან, რომლებიც ერთმანეთთან მიმაგრებული უნდა იყოს მოძრავი სამაგრიტ.
- ✓ დაცვის ორივე სეგმენტი შიგნიდან გაძლიერებული უნდა იყოს დაბალი სიმტკიცის ქაფისგან . დასაშვებია წვივის სეგმენტში ნახვრეტების არსებობა ვენტილაციისთვის.

3.3.1 ყინულის ჰოკეის ტანის დამცავის , წვივის დამცავისა და საიდაყვეების კომპლექტის ზომები და რაოდენობა:

უმცროსი კატეგორია 8 კომპლექტი, ზომა საშუალო; (junior medium)
 უმცროსი კატეგორია 8 კომპლექტი, ზომა დიდი; (junior large)
 უფროსი კატეგორია 2 კომპლექტი, ზომა პატარა; (senior small)
 მოზარდი კატეგორია 2 კომპლექტი, ზომა დიდი; (youth large)

სულ: 20 კომპლექტი

3.4. ყინულის ჰოკეის საიდაყვეები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს.

- ✓ უპირატესობა უნდა მიენიჭოს ყინულის ჰოკეის ცნობილ ბრენდებს;
- ✓ საიდაყვის ქვედა დაცვა უნდა იყოს დამზადებული პლასტმასისგან. ზედა მხარე უნდა იყოს დამზადებული საშუალოს სიმტკიცის ქაფისგან ან მაღალი სიმტკიცის ქაფისგან.
- ✓ ბიცეფსის დაცვა უნდა იყოს დამზადებული მაღალი სიმტკიცის ქაფისგან.
- ✓ ბიცეფსის დაცვა და იდაყვის დაცვა ერთმანეთთან უნდა დაკავშირებული იყოს მოქნილი სისტემით. დაშვებულია ეგრეთ წოდებული „ბოქლომის“ სისტემის გამოყენება. რათა არ მოხვდეს იდაყვის საპირისპირო მხარეს გაშლა.
- ✓ საიდაყვე ტანზე უნდა მაგრდებოდეს ნეილონის წელვადი თასმებით ე.წ „ფხრიწების“ დახმარებით.
- ✓ საიდაყვეს წინა მხარის ფიქსაცია დასაშვებია არაწელვადი ნეილონის თასმით.

3.4.1 ყინულის ჰოკეის საიდაყვეების ზომები და რაოდენობა:

უმცროსი კატეგორია 5 წყვილი, ზომა საშუალო; (junior medium)
 უმცროსი კატეგორია 5 წყვილი, ზომა დიდი; (junior large)
 უფროსი კატეგორია 5 წყვილი, ზომა პატარა; (senior small)

სულ: 15 წყვილი;

3.5 ყინულის ჰოკეის წვივის დაცვა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს.

- ✓ უპირატესობა უნდა მიენიჭოს ყინულის ჰოკეის ცნობილ ბრენდებს;
- ✓ წვივის დაცვა დამზადებული ინდა იყოს მაღალი სიმტკიცის პლასტმასისგან.
- ✓ დაცვა უნდა შედგებოდეს ორი სეგმენტისგან მუხლის „ჭიქის“ და წვივის დაცვისგან. რომლებიც ერთმანეთთან მიმაგრებული უნდა იყოს მოძრავი სამაგრით. დაცვის ორივე სეგმენტი შიგნიდან გაძლიერებული უნდა იყოს საშუალო სიმტკიცის ქაფისგან. დასაშვებია წვივის სეგმენტში ნახვრეტების არსებობა ვენტილაციისთვის.

3.5.1 ყინულის ჰოკეის წვივის დაცვის ზომები და რაოდენობა:

უმცროსი კატეგორია 5 წყვილი, ზომა საშუალო; (junior medium)

უმცროსი კატეგორია 5 წყვილი, ზომა დიდი; (junior large)

უფროსი კატეგორია 5 წყვილი, ზომა პატარა; (senior small)

სულ: 15 წყვილი;

3.6 ყინულის ჰოკეის შორტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს.

- ✓ უპირატესობა უნდა მიენიჭოს ყინულის ჰოკეის ცნობილ ბრენდებს;
- ✓ სპორტული ფორმა უნდა იყოს განკუთვნილი ახალგაზრდა და დამწყები მოთამაშეებისთვის ;
- ✓ ოთხთავა კუთნის დასაცავად გამოყენებული უნდა იყოს მაღალი სიმტკიცის ქაფი ან საშუალო სიმტკიცის ქაფი დამატებული პლასტმასის ჩანართები.
- ✓ ზურგის და თირკმელების დასაცავად უნდა იყოს გამოყენებული მაღალი სიმტკიცის ქაფი ან საშუალო სიმტკიცის ქაფი დამატებული პლასტმასის ჩანართები.

3.6.1 ყინულის ჰოკეის შორტის ზომები და რაოდენობა:

უმცროსი კატეგორია 8 ცალი, ზომა საშუალო; (junior medium)

უმცროსი კატეგორია 8 ცალი, ზომა დიდი; (junior large)

უფროსი კატეგორია 2 ცალი, ზომა პატარა; (senior small)

მოზარდი კატეგორია 2 ცალი, ზომა დიდი; (youth medium)

სულ: 20 ცალი;

3.7. ყინულის ჰოკეის ხელთათმანი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს.

- ✓ უპირატესობა უნდა მიენიჭოს ყინულის ჰოკეის ცნობილ ბრენდებს;
- ✓ სპორტული ფორმა განკუთვნილი უნდა იყოს ახალგაზრდა და დამწყები მოთამაშეებისთვის;
- ✓ ხელთათმანის ხელის გული დამზადებული უნდა იყოს ანტიბაქტერიული მასალა;
- ✓ მაჯის გარშემო უნდა იყოს ასევე გამოყენებული ანტიბაქტერიული რბილი ლაინერი.
- ✓ თითების გვერდები „გასეტები“ დამზადებული უნდა იყოს ნეილონის წელვადი მასალისგან.
- ✓ საჩვენებელი და ცერა თითი დაცული უნდა იყოს პლასტმას + მაღალი და საშუალო სიმტკიცის ქაფით. ცერა თითში უნდა იყოს გამოყენებული „ბოქლომი“ რათა გამოირიცხოს თითის ამოვარდნა.
- ✓ ხელთათმანის დანარჩენ ნაწილებში უნდა იყოს გამოყენებული საშუალო და მაღალი სიმტკიცის ქაფის ჩანართები.

3.7.1 ყინულის ჰოკეის ხელთათმანების ზომები და რაოდენობა:

უმცროსი კატეგორია 25 წყვილი; (junior)

უფროსი კატეგორია 5 წყვილი; (senior)

მოზარდი კატეგორია 5 წყვილი; (youth)

სულ: 35 წყვილი;

3.8. ყინულის ჰოკეის ჯოხი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს.

- ✓ უპირატესობა უნდა მიენიჭოს ყინულის ჰოკეის ცნობილ ბრენდებს;
- ✓ ყინულის ჰოკეის ჯოხი განკუთვნილი უნდა იყოს ახალგაზრდა და დამწყები მოთამაშეებისთვის;
- ✓ ჯოხი უნდა იყოს დამზადებული ნახშირბადის ბოჭკოსგან, რომელიც უზრუნველყოფს მოქნილობასა და გამძლეობას.
- ✓ ჯოხს უნდა ჰქონდეს ოთხკუთხა კუთხეები და ორმაგი ჩაზნექილი კედელი;

3.8.1 ყინულის ჰოკეის ჯოხების ზომები და რაოდენობა:

უმცროსი (junior) კატეგორია, მარცხენა 2 ცალი;

უმცროსი (junior) კატეგორია, მარჯვენა 18 ცალი;

სულ: 20 ცალი;

3.9. ყინულის ჰოკეის კისრის დამცავი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს.

- ✓ უპირატესობა უნდა მიენიჭოს ყინულის ჰოკეის ცნობილ ბრენდებს;
- ✓ უნდა უზრუნველყოს კისრის დაცვა;
- ✓ კისრზე უნდა მაგრდებოდეს ე.წ „ფხრიწების“ დახმარებით.

3.9.1 ყინულის ჰოკეის კისრის დამცავის რაოდენობა.

კისრის დამცავი 20 ცალი;

3.10. ჰოკეის საცვალი ნიჟართ , უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს.

- ✓ უპირატესობა უნდა მიენიჭოს ყინულის ჰოკეის ცნობილ ბრენდებს;
- ✓ ნიჟარას უნდა ჰქონდეს სპეციალური პლასტიკური ფორმა, რომელიც განკუთვნილია დაიცავს მოთამაშე დაზიანებისგან;
- ✓ საცვალს უნდა გააჩნდეს მომსახურებელი ბარძაყის ბალიშები;

3.10.1 ყინულის ჰოკეის საცვლის ზომები და რაოდენობა:

უმცროსი (junior) კატეგორია, ზომა საშუალო (medium) 10 ცალი;

უმცროსი (junior) კატეგორია, ზომა დიდი (large) 10 ცალი;

სულ: 20 ცალი;

4.შესყიდვის ობიექტის საგარანტიო და მიწოდების ვადები:

- ✓ ყინულის ჰოკეის აღჭურვილობის საგარანტიო ვადა უნდა ვრცელდებოდეს საქონლის მიღება-ჩაბარებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში.
- ✓ საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის ვადაში.
- ✓ საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ქ. ბათუმი ლადო ასათიანის ქ. №27.

5. ანგარიშსწორების პირობები:

5.1 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით;

5.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღლო ანგარიშსწორებით ლარში;

5.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ინსპექტირების დასკვნის, საქონლის მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტის [(მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არის დღგ-ს გადამხდელი ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადახმდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან)] წარმოდგენის თარიღიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში;

5.4 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას, აკრედიტებული პირის დასკვნა (აკრედიტებული პირის მიერ გაცემულ დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი). ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-11-მე-14 პუნქტებით განსაზღვრული წესები.

5.5 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

6. დამატებითი ინფორმაცია:

6.1 საკონტაქტო პირები: სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: მანანა სურმანიძე; ტელ: 29 35 20, მობ: 577 65 05 03; ელ-ფოსტა: Surmanidzeman@gmail.com; სატენდერო კომისიის წევრი: უჩა აბრამიშვილი; ტელ: 593 39 77 76;

7. პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს:

7.1 სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული დოკუმენტაციის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემდგომი თანმიმდევრობით:

- პრეტენდენტი პირის რეკვიზიტები დანართი N1 შესაბამისად;
- მისაწოდებელი საქონლის და ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების სრული აღწერილობა (მწარმოებელი ქვეყნის, ფირმის და მოდელის მითითებით) და ფასების ცხრილი დანართი N2 შესაბამისად.
- პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და ტექნიკური დოკუმენტაცია (ანგარიშსწორების პირობები, მიწოდების ვადები და პირობები) დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი ან მისი ნდობით აღჭურვილი (სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე) პირის ხელმოწერითა და ბეჭდით;
- საქართველოს ყინულის ჰოკეის ფედერაციის მიერ გაცემული ცნობა ყინულის ჰოკეის აღჭურვილობის ვარგისინობისა და ხარისხობრივი მახასიათებლის შესახებ, საქონლის წარმოდგენისთანავე;

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ქ. ბათუმი

„-“ „-----“ 2015 წელი

ერთის მხრივ „ა(ა)იპ ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრი“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით და მეორეს მხრივ ----- (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და პრეტენდენტის მიერ ჩატარებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადება NSPA) შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში-„ხელშეკრულება“)- შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“- ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.
- 1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“- კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4 „შემსყიდველი“- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5 „მიმწოდებელი“- პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6 „მომსახურება“- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
- 1.7 „ტექნიკური დავალება-NSPA გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური მოთხოვნები, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრისათვის საციგურაო და ყინულის ჰოკეის აღჭურვილობის მიწოდება სატენდერო დოკუმენტაციისა და ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად CPV: 37411200.

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ----- () ლარს.
- 3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა

- 4.1 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით.
- 4.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
- 4.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის სრულად მიღებისა (მიწოდებისა) და საბოლოო შემოწმების შემდეგ, სასაქონლო ზედნადების (დღგ-ს ანგარიშფაქტურის) წარმოდგენის საფუძველზე 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- 4.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მიწოდების ადგილი

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2015 წლის --- 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

5.2 შესყიდვის ობიექტს მიწოდების ადგილია: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. N27.

5.3 საქონელი მოწოდებული უნდა იქნას ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში.

5.4 მოწოდებულ პროდუქციაზე მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- მიმწოდებელისგან მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობის დაცვა.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

7. ხელშეკრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

7.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფი. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

7.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრათან და ხელახალ კონტროლთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება ცალმხრივად და მოითხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. სხვა პირობები

12.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

12.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

12.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან (ორი „შემსყიდველს“, ერთი „მიმწოდებელს“) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12.6 ხელშეკრულების დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

„ მიმწოდებელი“

დირექტორი:

დირექტორი:

შემსყიდველი

მიმწოდებელი

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

პრეტენდენტის ხელმოწერა: ----- ბ. ა

თარიღი -----

№	საქონლის დასახელება	ტექნიკური მახასიათებელი	მწარმოებელი/ბრენდი	მოდელი	წარმოების ქვეყანა	განზ.	რაო-ბა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)	საგარანტიო ვადა	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	ჰოკეის ციგურები					წყვილი	35					<p>ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში</p> <p>ქ. ბათუმი, ლადო ასათიანის ქ. N27</p>
2	ჰოკეის ჩაფხუტი					ცალი	35					
3	ჰოკეის ტანის დამცავი, საიდაყვეები და წვივის დამცავი					კომპლექტი	20					
4	ჰოკეის საიდაყვეები					წყვილი	15					
5	ჰოკეის წვივის დამცავი					წყვილი	15					

6	ჰოკეის შორტი					ცალი	20					
7	ჰოკეის ხელთათმანი					წყვილი	35					
8	ჰოკეის ჯოხი					ცალი	20					
9	კისრის დამცავი					ცალი	20					
10	ჰოკეის საცვალი					ცალი	20					

შენიშვნა: ერთეულის ფასი არ უნდა აღემატებოდეს 500 ლარს.

მოსაწოდებელი საქონელის ფერი შეთანხმდეს შემსყიდველ ორგანიზაციასთან;

----- ლარი
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

პრეტენდენტის ხელმოწერა:-----
და ბეჭედი